საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030139746625521

№ 01-385/ო **28 / სექტემბერი / 2021 წ.**

COVID- 19- ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ბინაზე მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად და COVID-19 ინფექციის ტრანსმისიის შესაჩერებლად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N67 განკარგულების, ,,2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების №2 დანართის მე-3 მუხლის ,,თ‘‘ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბინაზე მყოფი გადაადგილებაშეზღუდული მოსახლეობისთვის, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ,,2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით დამტკიცებული იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის (პროგრამული კოდი 27 03 02 02) (შემდგომში-იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა) მე-3 მუხლის ,,თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებს (შემდგომში - COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებები) მიენიჭოს უფლებამოსილება, ჩაატარონ ბინაზე მყოფი გადაადგილებაშეზღუდული მოსახლეობის ბინაზე ნებაყოფლობითი ვაქცინაცია.

2. **დაევალოს:**

ა) COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებს (მათ შორის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს) გამსვლელი ბრიგადის დაკომპლექტება შესაბამისი სამედიცინო კადრით, ასევე, ვაქცინაციისთვის საჭირო საგნებით/აღჭურვილობით/სახარჯი მასალითა და გადაუდებელი საჭიროების საგნებით/მედიკამენტებით;

ბ) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შესაბამისი ვაქცინებით უზრუნველყოფა.

3. გამსვლელი ამცრელი ბრიგადის მიერ შესაბამისი სამიზნე ჯგუფის აცრის მომსახურების ღირებულება ანაზღაურდეს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ‘‘ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის ბინაზე მიწოდების მიზნით, ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ ამცრელი ბრიგადის უზრუნველყოფისა და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ვაქცინებით უზრუნველყოფის და მომსახურების ანაზღაურების

თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 25 აგვისტოს N01-333/ო ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად	ეკატერინე ტიკარაძე